

ଲୋଞ୍ଜାଙ୍ଗ

თეა ლომაძე
ცერილი პოტლუ

რედაქტორი: ეკა ბერიშვილი

მხატვარი: ნანა სამანიშვილი

© თეა ლომაძე 2010, 2023
© გამომცემლობა „დიოგენე“, 2010, 2023
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-819-7


www.diogene.ge

თეა ლომაძე

ნერილი

ბოთლში

კლასგარეშე საკითხავი
(9-12 წელი)



მამამ მითხრა, ჩვენ ზღვის შვილები ვართ, ამიტომ
ცურვა ძალიან, ძალიან კარგად უნდა იცოდეო.

მართლა ზღვის შვილები ვიყავით. ჩემი ყველა წი-
ნაპარი აქ, ამ სანაპიროზე ცხოვრობდა. ზღვა ცხვირწინ
გვქონდა. სახლის უკან, ფორთოხლის ბაღში, ვიწრო ბი-
ლიკს გაივლიდი, პატარა, ხის ჭრიალა ჭიშკარს გააღებ-
დი და ზღვაც გამოჩნდებოდა. მას ყოველდღე ვხედავდი,
მისი ხმაური ძილშიც ჩამესმოდა. ეს სრულიად ჩვეუ-
ლებრივი რამ იყო და ზღვის შვილობაზე ადრე არას-
დროს მიფიქრია. აი, მამამ რომ მითხრა, მხოლოდ მაშინ
დავფიქრდი და დავეთანხმე.

ცურვა, რა თქმა უნდა, ვიცოდი, მაგრამ მამა რა-
დაც განსაკუთრებულ ცურვას გულისხმობდა. ამიტო-
მაც დამიყოლია, შაბათ-კვირას მასთან ერთად მევარ-
ჯიშა. სწორედ კვირადღე იდგა და ზღვისკენ გავწიეთ.

გაჭირვება ის იყო, რომ, სანამ ფსკერი ახლოს მეგულებოდა, ლალად ვუსვამდი ხელებს, მაგრამ, როგორც კი გავიაზრებდი, ღრმად შევედი-მეთქი, რაღაც მემართებოდა, გული ყელში მებჯინებოდა, სუნთქვა მეკვროდა და ფეხებიც მიშეშდებოდა. ძალიან მალე ვიღლებოდი, მერე მარილიანი წყალიც მეყლაპებოდა და ფართხაფურთხით ნაპირისკენ მოვიწევდი. განსაკუთრებით კარგად ცურვა, თურმე, თევზივით ცურვას ნიშნავს. თევზს, რა თქმა უნდა, არ ანაღვლებს, ფსკერი ახლოს აქვს თუ არა. ჩემთვის კი ძალიან ძნელი აღმოჩნდა.


— ბოლოს და ბოლოს, თევზს ლაყუჩები აქვს, მე კი არა! — გავაპროტესტე.

— როცა ძალიან კარგად ისწავლი ცურვას, შენც გეგონება, რომ ლაყუჩები გამოგესხა, — გამამხნევა მამამ.

ეს ლაყუჩები სულაც არ მჭირდებოდა. ისედაც დიდად კმაყოფილი არ გახლდით საკუთარი გარეგნობით და ახლა კიდევ ლაყუჩები?

— მიდი, მიდი, ხელები გაანძრიე, ტანი გაასწორე და ფსკერზე ფიქრს თავი დაანებე, პუტკუ! — შემომძახა მამამ.

ჰო, მამა პუტკუს მეძახდა, ისე, მარიამი მქვია.



ცურვის პირველი გაკვეთილი ძალიან მძიმე აღმოჩნდა. ზღვაც ცივი იყო – ჯერ ხომ ზაფხული არ დამდგარიყო. სახლში გასავათებული და გაყინული დავბრუნდი. დედას სუფრა გაეშალა და ჩვენ გველოდა. მაგიდაზე შემწვარი თევზი იდო.

- კი ცურავდა თევზივით, მაგრამ არ უშველა, მაინც მოხვდა მეთევზის ბადეში, – აღვნიშნე.
- ნუ გეშინია, – გაელიმა მამას, – შენ არ მოხვდები ბადეში.

დედა ვერაფერს მიხვდა და გაკვირვებით გადმოგვხედა. მაგიდასთან პატარა ოჯახის წევრები ვისხედით: დედა, მამა, მე და ჩემი პატარა, საყვარელი დაიკო. ის ჯერ სამი წლისაც არ იყო და დედა ხელით აჭმევდა. სამზარეულოში წყნარი მელოდია ისმოდა, როგორც ყოველთვის, დედა კლასიკურ მუსიკას გვასმენინებდა. რა კარგი იყო... ჩემს პატარა დას კალთაში უშველებელი თოვინა ეჯდა და ცდილობდა, მისთვის პურის ნამცეცები ეჭმია. პატარა, პუნტულა, ნაჩვრეტებიანი თითებით პირში უტენიდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. სასაცილო სანახავი იყო – დედა იმას აჭმევდა, ის კი – მიკინას.



ჰო, თოჯინას მიკინა ერქვა. ცოტა ხნის წინ მამამ მივლინებიდან ჩამოუტანა. ფოსფორისფერი თმები, რბილი ტანი, ძალიან გულუბრყვილო სახე და თითქოს გაოცებისგან ოდნავ დაღებული პირი ჰქონდა. ჩემმა დამ პირველად რომ დაინახა, გაკვირვებულმა თვითონაც პირი დააღო, ფრთხილად მიეპარა, შეათვალიერა, მერე თითი პირში შეუყო და უცებ დამდუღრულივით უკან გადახტა, – მიკინა! – შემოგვჩივლა, მიკბინაო და სატირლად მოემზადა. ასე დაერქვა თოჯინას მიკინა. ის ჩვენი ოჯახის ნამდვილი წევრი გახდა იმიტომ, რომ ჩემი და ცდილობდა, სულ გვერდში ჰყოლოდა. უძნელდებოდა აქეთიქით ტარება – მიკინა ხომ თითქმის მისი სიმაღლისა იყო, მაგრამ უიმისოდ არც ჭამდა, არც თამაშობდა, არც იძინებდა. ძალიან კარგი და მყავდა, ძალიან საყვარელი. სასაცილოდ დაბაჩუნებდა. წარამარა ეცემოდა, მაგრამ არაფრად აგდებდა: მაშინვე ადგებოდა, ხელებს დაიფერთხავდა და ამოიოხრებდა: „უფ, კინაღამ დავეცი“. ამ „კინაღამზე“ ღიმილს ვერ ვიკავებდი. ყველას გვეფერებოდა, განსაკუთრებით – დედას. ერთხელ ხელები სახეზე მოუთათუნა და სევდიანად ჰკითხა:



- შენ დედა არა გყავს?
- არა, აღარა მყავს, – უპასუხა დედამ.
- კარგი, მაშინ მე ვიქნები შენი დედა და მე მოგივლი, – დააწყნარა და ჩაეხუტა.

სადილის შემდეგ პატარა დას თავისი მიკინიანად ხელი ჩავკიდე და ჩემს მეგობართან წავედი. უფრო სწორად, წავედი კი არა, გადავედი იმიტომ, რომ ჩემი საუკეთესო მეგობარი მეზობელ სახლში ცხოვრობდა, ერთი დაბალი ღობე გვყოფდა ერთმანეთისაგან. ის ზუსტად ჩემხელა გოგო იყო, ერთსა და იმავე წელს და დღეს ვიყავით დაბადებული. ძალიან ვგავდით ერთმანეთს, ერთნაირად ვფიქრობდით, ერთი და იგივე რაღაცები მოგვწონდა და გვძულდა. უერთმანეთოდ ერთ დღესაც ვერ ვძლებდით. თუმცა გარეგნობით საკმაოდ განვსხვავდებოდით – მე ქერა ვიყავი, ის – შავგვრემანი – თავი მაინც ტყუპები გვეგონა. იმასაც ჰყავდა ზუსტად ჩემი დისხელა ძმა. აი, ჩვენი და-ძმა კი მაინცდამაინც ვერ რიგდებოდა. თავიდან ცოტა ხანს ტკბილად იწყებდნენ თამაშს, მერე რაღაცაზე წაეკიდებოდნენ და ერთმანეთს სულ თმებს აგლეჯდნენ. უფრო სწორად, ის ჩემს დას

გრძელ კულულებში სწვდებოდა, ჩემი და კი – ყურებში, რადგანაც ბიჭის მოკლე თმას ხელს კარგად ვერ ავ-ლებდა. ასე წივილ-კივილით ექაჩებოდნენ ერთმანეთს, სანამ არ გავაშველებდით.

სასწრაფოდ გავუზიარე ჩემს საუკეთესო მეგობარს ჩვენი ზღვისშვილობის ამბავი. ისიც ჩემსავით იყო, არც მის წინაპარს უცხოვრია სხვაგან არასდროს. მასაც მოე-



წონა ეს თეორია. ზღვა ხომ თვალუწვდენლად დიდი და ძლიერია და რაღაცნაირად სიამაყის მომგვრელად მიგვაჩნდა მისი შვილობა. ამაზე კარგა ხანს ვიფილოსოფოსეთ, მერე დალლილობისაგან ლამის თვალები დამეხუჭა და დასაძინებლად წავჩანჩალდი, – მეორე დილას სკოლაში ვიყავით წასასვლელები. კი ვთქვი, განუყრელები ვიყავით-მეთქი, მაგრამ სკოლაში მაინც ცალ-ცალკე დავდიოდით.

ამ ჩვენს ქალაქს ერთი უცნაურობა სჭირდა: ჩვენ, ქალაქელები ორ სხვადასხვა ენაზე მოსაუბრებად ვიყოფოდით. სკოლებიც ორნაირი გვქონდა: ერთენოვანი და მეორეენოვანი. მაგრამ ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ერთმანეთთან სასაუბროდ სულ სხვა, მესამე ენა გვქონდა არჩეული. ამ მესამე ენას გაძლიერებულად გვასწავლიდნენ სკოლაში. ასე რომ, მე და ჩემი საუკეთესო მეგობარი, გვერდით სახლში რომ ცხოვრობდა, დაბადებიდან ერთად ვიზრდებოდით, ვთამაშობდით, თავი ტყუპისცალებად მიგვაჩნდა, მაგრამ სხვადასხვა სკოლაში დავდიოდით და ერთმანეთს იმ მესამე ენაზე ველაპარაკებოდით. ვერ ვხვდები, რატომ არ ვსწავლობ-


დით ერთმანეთის ენას. ამდენი წლის განმავლობაში დღეში თითო სიტყვა რომ გვესწავლებინა ერთმანეთის-თვის, ახლა თავისუფლად ვისაუბრებდით. როცა ამას მივხვდით და დავაპირეთ, უკვე გვიან იყო, აღარ გვეშველა, თუმცა ამაზე – მოგვიანებით...

ჩვენს ურთიერთობას ვერაფრით დაარქმევდი „და-ქალობას“, ის ბევრად მეტი იყო. არა მგონია, ჩვენზე კარგი სულიერი მეგობრები კიდევ არსებულიყვნენ. საღამოობით ჩამოვსხდებოდით ღობის წინ, ტროტუარის გრძელ სკამზე და ვქაქანებდით, სანამ მშობლები




სახლებში არ შეგვყრიდნენ. ვარჩევდით ყველა ნანახ ფილმს, წაკითხულ წიგნს, ვსაუბრობდით ისეთ თემებზე, სხვებთან რომ არ განვიხილავდით. ვქმნიდით ახალ თეორიებს მეგობრობაზე, სიყვარულზე, სიძულვილზე. სკამზე ჯდომა რომ მოგვწყინდებოდა, ქუჩებში ვსეირ-ნობდით.


ძალიან ლამაზი იყო ჩვენი ზღვისპირა ქალაქი – მწვანეში ჩაფლული ორსართულიანი, ფერადსახურავიანი სახლებით და ვიწრო, ქვაფენილიანი ქუჩებით – და-ხატულს ჰგავდა. თუმცა ბევრი ნახატი მინახავს, მაგრამ ასეთი – არცერთი. არცერთ ნახატს არ შეუძლია გადმოს-



ცეს ის ფერები და, რაც მთავა-
რია, სუნი. ევკალიპტის, მაგნო-
ლიისა და ზღვის სურნელებით
იყო გაუღენთილ-გაჯერებული
ყველაფერი, ყველა ეზო, ყველა
აივანი – ყვავილებით მორთუ-
ლი. ზამთარში მაინცდამაინც
არ ციოდა, ზაფხულშიც მეტის-
მეტად არ ცხელოდა. თუ ინვი-

მებდა, ერთ-ორ საათში ცა ისევ მოკრიალდებოდა, მზე
გამოანათებდა. მიწას ოხშივარი ასდიოდა, მზე სველი
ქუჩების, სახლების, ხეებისა და თოკებზე გაფე-
ნილი სარეცხის ლოკვას იწყებდა და მა-
ლე ყველაფერი ისევ მშრალი და
გაცისკროვნებული იყო. ძა-
ლიან მიყვარდა ჩვენებური
ზაფხული, მაგრამ, ასე
ლამაზი და მშვენიერი
რომ გახლდათ ჩემი
ქალაქი, ასე ზომიე-
რი კლიმატით, ასე
ზომიერად მარი-
ლიანი ზღვით და
ასე რომ ჰერცოგინია
დახატულს, ყვე-
ლას მოსწონდა
და ზაფხულობით
დამსვენებლების ნამ-
დვილი, სრულიად არა-





ზომიერი, შემოსევა იწყებოდა. სასტუმროები ხალხით ივსებოდა. სანაპიროზეც ტევა აღარ იყო. ბევრი საკუთარ სახლში ოთახებს აქირავებდა, ჩვენ – არასოდეს: სტუმრად ნათესავები ჩამოგვდიოდნენ დედაქალაქიდან და იმათ ძლივს ავუდიოდით.

ჩვენს ნათესავებს ჩემხელა ბავშვი არ ჰყავდათ, სამაგიეროდ, ჩემი დისხელა – გაგიხარიათ, ეზო ნამდვილ ბაგა-ბალად იქცეოდა ხოლმე. ამ უივუივს რომ გავცლოდი, სახლიდან გაქცევაზე ვიყავი:

– დე, წავალ რა, ბედს ვეწევი, – ვამბობდი.

ეს ჩემი და ჩემი მეგობრის საყვარელი ფრაზა იყო. ჩვენი ასაკის ბავშვებმა ხშირად იციან რამის ამოჩემება. ჩვენც წარამარა, ზოგჯერ სრულიად უადგილოდ ვამბობდით ამ სიტყვებს. მაგრამ სახლიდან გასვლა და ბედის წევა ასე ადვილი არ გახლდათ. საქმე ის იყო, რომ ჩემი ხელოვნებათმცოდნე დედიკო ძალ-ლონეს არ იშურებდა შვილის განვითარებისათვის. აი, მაგალითად, სახლში სულ კლასიკური მუსიკა უღერდა. დედას ჩანაწერები არ ელეოდა, ხან რას აგუგუნებდა, ხან – რას. ჩართავდა რომელიმეს და გამომცდელად შემხედავდა:

– აბა, ვინ არის?

ზოგჯერ ცოტა ხანს ვუსმენდი, ზოგჯერ კი მაშინვე საყვედურით გადავხედავდი:

– მოცარტი, დე, – აქაოდა ეს რა მაკადრეთ, ამის გამოცნობას რაღა უნდა-მეტქი.

უფრო რთული იყო, როცა მეკითხებოდა, რომელი ნაწარმოებიაო. როგორც კი ვვარჯიშდებოდი, დედა საქ-მეს ართულებდა.

– რახმანინოვი, დე.

– სადაური იყო? რომელ საუკუნეში ცხოვრობდა?

რა ასაკში გარდაიცვალა?

ახლა არქიტექტურას და ფერწერას არ იკითხავთ? მოკლედ, დღეში მინიმუმ ერთი ცნობილი შენობის სტი-ლი და ადგილმდებარეობა და ერთი ცნობილი ნახატის ავტორი უნდა გამომეცნო. მაშინ დედა კმაყოფილი რჩე-ბოდა. ძალიან ბევრი ხელოვნების ისტორიის წიგნი და კატალოგი ჰქონდა, ასე რომ, საჩვენებელი მასალა არას-დროს ელეოდა. ისე გამწაფა, სურათი ნანახიც რომ არ მქონოდა, სტილით მაინც ვცნობდი ავტორს. რატომ არ გამომყვა ბაბუისგან ხატვის ნიჭი, მაინცდამაინც სხვისი